თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1911251

ნომერი: AR1305676

თარიღი : 04.05.2015

გაცემის თარიღი : 25.05.2015

გაცნობის თარიღი : 25.05.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სავაჭრო-საბითუმო ბაზა "ცეკავშირი", მიმდებარედ , (ნაკვ. 01/021) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- აკაკი შანიძის ქ. #25

ორგანიზაცია:
- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი კოდი: 202 352 514

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2015 წლის 04 მაისს №AR1305676 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სავაჭრო საბითუმო ბაზა „ცეკავშირი“–ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.19.15.001.021 ავტოგასამართი (ბენზინ, დიზელ და გაზგასამართი) სადგურის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ სამსახურის №1671025 05.01.2015 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე გეთქვათ უარი, რადგან ტერიტორია მდებარეობს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №104 განკარგულებაში მითითებულ საავტომობილო მაგისტრალზე, სადაც საპროექტო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დადგენილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებულია გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა. ვინაიდან, “საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია- მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N104 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შესახებ (დამატებული 12 პუნქტი) 2015 წლის 20 მარტის N606 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია- მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია, გზის ღერძიდან 100-მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა“. სამსახურმა განაცხადი გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში განსახილველად, მათი წერილის თანახმად (იხ. დანართი) მერიის კეთილმოწყობის სამსახური ამ ეტაპზე წინააღმდეგია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით #01.19.15.001.021 სამშენებლო განვითარებისთვის გაიცეს ნებართვა. ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს ახალი გარემოება, სამსახური რჩება თავის პოზიციაზე და აღნიშნული შეზღუდვის მოხსნამდე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს ვერ გასცემს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.